ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკური
განვითარების, საინვესტიციო
პოლიტიკის და
საერთაშორისო
ურთიერთობების კომისიის
თავმჯდომარის

ლევან არველაძის

2024 წლის ანგარიში

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლევან არველაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი

2023 - 2024 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე მოწვეულ იქნა:

- ✓ საკრებულოს 14 სხდომა
- ✓ ბიუროს 24 სხდომა
- ✓ მიღებულია 113 დადგენილება და 675 განკარგულება

საანგარიშო წლის პერიოდში:

- ✓ ფრაქციას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ჩატარებული აქვს: 19 სხდომა
- ✓ დავესწარი 19 სხდომას, სადაც სხვადასხვა სახის რეკომენდაციები შევიმუშავეთ 43 საკითხზე

ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე ჩატარდა ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 14 სხდომა

განხილულ იქნა 93 საკითხი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებში ცვლილების შეტანის შესახებ
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ
- „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ წარმოდგენილი პროექტები

2024 წლის ანგარიში

ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

- მიმდინარე წელს წარმატებით გაგრძელდა ძველი თბილისის განახლება-რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- ✓ მოქმედებს „ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა“

- ➢ ბიზნეს სექტორს მიეცა შესაძლებლობა მათი ჩართულობით მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

- ✓ 2024 წელს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის საკომპენსაციო ღონისძიებასთან დაკავშირებით განხილულ იქნა სამსახურში შემოსული 140-მდე წინადადება. აქედან, 75 განაცხადზე გაიცა თანხმობა.

- ✓ 2024 წელს დაუმთავრებელი მშენებლობებით დაზარალებულ 144 პირს მიეცა 23,784,309.21 ლარის ფულადი კომპენსაცია.

- ✓ 2024 წელს დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით გაწეულ იქნა 3,034,514.81 ლარის ხარჯი.

საერთაშორისო შეხვედრები USAID

- თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე USAID-ის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

- საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან შეხვედრაში USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი კევინ მაკლოკლინი და USAID ის სხვა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

- USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ხელმძღვანელმა კევინ მაკლოკლინმა პროგრამის სხვადასხვა პროექტსა და მიმართულებაზე გაამახვილა ყურადღება. მისი განცხადებით, თბილისის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია. USAID-ის წარმომადგენლებმა ისაუბრეს პროგრამის დეტალებზე, კერძოდ: საჯარო მმართველობის და ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესების შესახებ თვითმმართველობაში; მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული და თანაბრად მისაწვდომი ადგილობრივი სერვისების მიწოდების ხელშეწყობაზე ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში; საძოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებაზე თვითმმართველობის საქმიანობაში ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით; დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობის შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის, ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების გზით.

- შეხვედრის დასასრულს საკრებულოს და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები მომავალ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

საერთაშორისო შეხვედრები პალერმო

- საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარემ ლევან არველაძემ და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ აბაშიძემ პალერმოს მერის მოადგილესთან მაურიციო კარტასთან, სამუშაო შეხვედრა გამართეს.
- შეხვედრა ფონდის „ცხოვრება მშვენიერია“ ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრაზე თბილისსა და პალერმოს შორის ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს.

საერთაშორისო შეხვედრები უნგრეთი

- თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ საქართველოში უნგრეთის ელჩთან ანა მარია შიკოსთან შეხვედრა გამართა. შეხვედრას, რომელიც თბილისის საკრებულოს შენობაში შედგა, წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე ესწრებოდა.

- შეხვედრაზე ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. ანა მარია შიკომ საკრებულოს დეპუტატებს ბოლო დროს განხორციელებული რეფორმებისა და პროექტების შესახებ, მათ შორის სატრანსპორტო რეფორმის თაობაზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

- იმედი გამოითქვა, რომ მხარეებს შორის თანამშრომლობა შედეგიანი იქნება და ეს შეხვედრა თბილისსა და ბუდაპეშტს კიდევ უფრო დააახლოვებს.

საერთაშორისო შეხვედრები ჩეხეთი

- თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ ქალაქ პრაღის მეექვსე ოლქის მერთან იაკუბ სტარეკთან და მერის მოადგილეებთან, მარიან ჰოშეკთან და მარიანა ჩაპკოვასთან, შეხვედრა გამართა. შეხვედრა თბილისის საკრებულოში გაიმართა.

- შეხვედრაზე თბილისის საკრებულოს სხვადასხვა კომისიის თავმჯდომარეებმა უცხოელ სტუმრებს თავიანთი კომისიების სპეციფიკასა და საქმიანობის დეტალებზე მიაწოდეს ინფორმაცია და სამომავლო თანამშრომლობის იმედი გამოთქვეს.

- თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის ახალ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს პეტრ კუბერნატს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე და თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია. შეხვედრაზე გიორგი ტყემალაძემ პეტრ კუბერნატს ელჩად დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

- გიორგი ტყემალაძემ და პეტრ კუბერნატმა მომავალი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ბიზნესის სტიმულირება

✓ **გაუსინჯე თბილისს გემო“/”Taste Tbilisi”**

➢ რომლის მიზანია გასტრონომიული კულტურის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ასევე, აღნიშნული სფეროს წარმომადგენელი ფიზიკური და იურიდიული პირების ხელშეწყობა, ქართული სამზარეულოს განვითარება და ახალი კერძების შექმნა.

✓ **მიმდინარეობს „სოციალურ საწარმოთა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა“**

➢ აღნიშნული ღონისძიება სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობასა და ადგილობრივი წარმოების წახალისებას ემსახურება.

✓ **„გასტრონომიული და ტკბილეულის ფესტივალი“**

➢ 2024 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, ქ.თბილისის მერიის თანადაფინანსებით ჩატარდა „გასტრონომიული და ტკბილეულის ფესტივალი“.

✓ **„მეწარმე ქალთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა“**

➢ ქ. თბილისის მერიის თანადაფინანსებით 2024 წელს მოეწყო „მეწარმე ქალთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა“.

✓ **„თაფლის ფესტივალი და მეფუტკრეობის შესახებ შემეცნებითი ღონისძიება“**

➢ ქ. თბილისის მერიის თანადაფინანსებით 2024 წელს მოეწყო „თაფლის ფესტივალი და მეფუტკრეობის შესახებ შემეცნებითი ღონისძიება“;

✓ **მოეწყო გამოფენა-გაყიდვა „თბილისური საშობაო ბაზარი“**

➢ აღნიშნული ღონისძიება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი წარმოების წახალისებას, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, მეწარმეებისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციას.

ბიზნესის სტიმულირება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14-ე ფორუმი - ღონისძიებამ უმასპინძლა, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დონის სპიკერებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებს, დიპლომატებს, წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. აღნიშნული ღონისძიება 2007 წლიდან ჩამოყალიბდა მოწინავე იდეების გაცვლისა და ქმედითი გადაწყვეტილებების მიღების პლატფორმად.

- ქალაქი ყოველწლიურად მასპინძლობს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონის სპიკერებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებს, მუნიციპალიტეტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს.

- ფორუმის თემატიკა მოიცავს ურბანული განვითარების თანამედროვე ტენდენციებს და საჭიროებებს, რომელიც მოითხოვს ქალაქების სრულ ჩართულობას და პროაქტიულ ქმედებებს.

- ✓ ღონისძიება ჩატარდა ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის (EU-UNDP M4EG), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM), დანიისა და შვეიცარიის საელჩოების ასევე კომპანიების: „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „ქალაქური“, „სარაჯიშვილი“ მხარდაჭერით

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

საინფორმაციო ბუკლეტის ‘’ თბილისი ციფრებში“ მომზადება და გამოცემა:

1. საერთაშორისო რეიტინგები;
2. თბილისის ისტორია;
3. ურბანული ტერიტორია და კლიმატი;
4. პოლიტიკა და ურბანული ადმინისტრაცია;
5. ტურიზმი თბილისში;
6. განათლება, კულტურა და დასვენება;
7. თბილისის ეკონომიკა;
8. საერთაშორისო თანამშრომლობა

სტატუსი: მიმდინარე, დაიბეჭდება დეკემბერში

2024 წლის ანგარიში

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

პროექტ "საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსი"- ს ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კითხვარის შევსება.

კომუნალური მომსახურება,

ინფრასტრუქტურა და გარემო;

ტრანსპორტი;

განათლება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

პირობები ინვესტორებისთვის;

საგადასახადო ტვირთი;

ბიუჯეტის და აქტივების მართვა;

ადმინისტრირება

სტატუსი: მიმდინარე, დასრულედება ნოემბერში

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა

- **ტურისტული ბილიკების მარკირება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების მონიშვნა და ინფრასტრუქტურის მოწყობა უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით: კუს ტბა - ვაკის პარკი
- მარშრუტზე მოეწყო 1 საფეხმავლო და 3 ველო ბილიკი: მარტივი, საშუალო და რთული კატეგორიის.
- სტატუსი: დასრულებული
- **თბილისის შესახებ სტატიების საერთაშორისო მედიაში განთავსება** - მიმდინარეობს პირდაპირი შესყიდვის დოკუმენტაციის მომზადება, შედეგად თბილისის შესახებ სტატია განთავსდება საერთაშორისო მედია კომპანია Wanderlust ჟურნალსა და ვებ გვერდზე.
- **ადგილობრივი ადამიანური რესურსების განვითარება** - ჩატარდა სემინარები ტურისტული გიდებისთვის (გიდის პროფესიული უნარებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების შესახებ, სასტუმროების კლასიფიცირების შესახებ ევროპული სტანდარტების მიხედვით; მიმდინარე კვარტალში იგეგმება დამატებითი სემინარების ჩატარება.
- შეიქმნა თბილისში არსებული ორი ლოკაციის შესახებ **აუგმენტური რეალობის (AR)** აპლიკაციის სადემონსტრაციო (დემო) ვერსია. აპლიკაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ Android Play Store მომხმარებლებისთვის.

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა

- დაორგანიზდა **თბილისის გასტრო კვირეულის ფესტივალი** ქართული გასტრო ინდუსტრიის პოპულარიზაციის მიზნით. მიმდინარე წელს განხორციელდა ორი გასტრონომიული ფესტივალი.
- შეიქმნა **თბილისის შესახებ საპრომოციო მასალები:** თემატური რუქები, ბრენდირებული ჩანთები და ბლოკნოტები.
- დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:
- თბილისი ყავის ფესტივალი
- ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების ცერემონია “Welcome To Georgia”
- სპორტული ტურიზმის კონფერენცია “SportsWay Tbilisi”

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

- **უძრავი ქონების საერთაშორისო კვირეული** - ქ. თბილისის მერიის თანამონაწილეობით და ს.ს „გამოფენების ცენტრი"-ს ორგანიზებით, 2024 წლის 26-28 აპრილს გაიმართა.
- ღონისძიების მიზანი: პოტენციური ინვესტორებისთვის და საბროკერო კომპანიებისთვის შეხვედრების გამართვა, რომელიც მოიცავდა, საქართველოს როგორც საინვესტიციო გარემოს და სამართლებრივი პროცედურების გაცნობას
- საინვესტიციო პროექტების წარდგენა კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მხრიდან.
- კვირეულმა სამი მასშტაბური ღონისძიება გააერთიანა:
- მშენებლობისა და ინტერიერის საერთაშორისო გამოფენა Caucasus Build
- საქართველოს უძრავი ქონების გამოფენა და უძრავი ქონების ფორუმი, რომლის ფარგლებშიც 100-მდე საერთაშორისო საბროკერო კომპანია ეწვია საქართველოს.
- **„Startup Sprint: Axel,s Monthly Innovation meeting”,** ქ. თბილისის მერიის თანამონაწილეობით და ა(ა)იპ „საქართველოს ანგელოზ ინვესტორთა ქსელი"-ს ორგანიზებით, 2024 წლის 6 მარტს გაიმართა საინვესტიციო ღონისძიება
- მიზანი: საინვესტიციო შესაძლებლობების მოზიდვა მონაწილე წევრებისთვის. შეხვედრას დაესწრო აქსელის 90-მდე წევრი, 2 ტექნოლოგიური სტარტაპი, პოტენციური წევრები და პარტნიორები. მონაწილე სტარტაპებმა პრეზენტაციების სახით თავიანთი ინოვაციური იდეები წარუდგინეს დამსწრე საზოგადოებას.

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

- **საინვესტიციო ეკოსისტემის კონფერენცია** - ქ. თბილისის მერიის თანამონაწილეობით და ა(ა)იპ „საქართველოს ანგელოზ ინვესტორთა ქსელი"-ს ორგანიზებით, 2024 წლის 28, 29 და 30 ივნისს ჩატარდა

  მიზანი: ადგილობრივი ბიზნესისთვის დამატებითი საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნა

  ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესებით, ინვესტიციების მოზიდვა

  ზოგადი განათლების ზრდა ინვესტიციების მიმართულებით. სამდღიანმა სამიტმა გააერთიანა საქართველოში წამყვანი ანგელოზ ინვესტორთა ქსელები, ვენჩურული კაპიტალის ფონდები, აქტიური ანგელოზი ინვესტორები, მეწარმეები და ტექნოლოგიებითა და ინოვაციებით დაინტერესებული პირები.

- 2024 წელს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის საკომპენსაციო ღონისძიებასთან დაკავშირებით განხილულ იქნა სამსახურში შემოსული 140-მდე წინადადება. აქედან, 75 განაცხადზე გაიცა თანხმობა.

- 2024 წელს დაუმთავრებელი მშენებლობებით **დაზარალებულ** 144 პირს მიეცა 23,784,309.21 ლარის ფულადი კომპენსაცია.

- 2024 წელს **დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების** მიზნით გაწეულ იქნა 3,034,514.81 ლარის ხარჯი.

მადლობა ყურადღებისთვის!

2024 წლის ანგარიში